

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ბოქნისა

აუდიტური კონსპერნი

შპს „აქსის კონსტრაქშენი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2021

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	13
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	14
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	15
1. ძირითადი ინფორმაცია	15
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	16
3. მომზადების საფუძველი	16
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	17
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	27
7. გადახდილი ავანსები	27
8. მარაგები	27
9. გადასახადები და სხვა აქტივები	28
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	29
11. საინვესტიციო ქონება	31
12. გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა ჯგუფებში	32
13. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	32
14. მიღებული ავანსები	33
15. მიღებული სესხები	33
16. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	33
17. რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	34
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
19. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - სასესხო ვალდებულებები	34
20. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - პროცენტები	35
21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	35
22. რისკების მართვა	36
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	39
24. ფინანსური ანგარიშგების შესადარისი პერიოდის ცვლილებები	40
25. გაუთვალისწინებელი გარემოებები	40
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	41
27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	41

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი ჯგუფის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 18 მაისს;

დირექტორი ----- ალექსანდრე სამარგულიანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „აქსის კონსტრაქშენის“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „აქსის კონსტრაქშენის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 405076956) (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აუდიტორული მომსახურების გაწევა ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2020 წლის სექტემბრიდან, რის გამოც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ფიზიკურ გადათვლას ვერ დავესწარი. ჩვენ ვერ შევძელით, საანგარიშგებო პერიოდის (2019 წელი) დასაწყისში და ბოლოს, ასევე შესადარისი პერიოდის (2018 წელი) დასაწყისში და ბოლოს (რაც იგივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისია) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების რაოდენობაში და სახეობრივ შემადგენლობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება, ასევე მათი ისტორიული ღირებულებების დადგენა, რომლებიც ჯგუფს ასახული აქვს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,791,811 ლარს და 1,990,577 ლარს შესაბამისად, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2,058,806 ლარს და 2,041,617 ლარს შესაბამისად. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ძირითად

საშუალებებთან, საინვესტიციო ქონებასთან, ცვეთის ხარჯებთან და ასევე, დაუფარავ ზარალთან დაკავშირებით.

გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აუდიტორული მომსახურების გაწევა ჩვენმა აუდიტურმა კომპანიამ დაიწყო 2020 წლის სექტემბრიდან, რის გამოც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას ვერ დავესწარიტ. ჩვენ ვერ შევძელიტ, საანგარიშგებო პერიოდის (2019 წელი) დასაწყისში და ბოლოს, ასევე შესადარისი პერიოდის (2018 წელი) დასაწყისში და ბოლოს (რაც იგივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისია) მარაგების რაოდენობებში და სახეობრივ შემადგენლობებში დარწმუნება, რომლებიც ჯგუფს ასახული აქვს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მარაგების საბალანსო ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს შეადგენდა 19,548,431 ლარს და 11,087,488 ლარს შესაბამისად. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან, ასევე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა კომპანიებში შეადგენს 8,708,989 ლარს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 6,786,383 ლარს. ჩვენ ვერ შევძელიტ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა შეგვემოწმებინა ამ ინვესტიციების საბალანსო ღირებულება. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელიტ იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტთან მიმართებით.

ჯგუფის მიერ წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მოიცავდეს სათავო კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესადარის პერიოდებთან ერთად. ჩვენ ვერ შევძელიტ გავცნობოდით შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელიტ იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტებთან მიმართებით.

ჯგუფი ახორციელებს სამშენებლო და სარემონტო საქმიანობას. ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ კომპანიებს ავალდებულებს, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარებისთვის გამოიყენონ დასკვნებზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. ამასთან სახელშეკრულებო ვალდებულებების დროთა განმავლობაში შესრულების პროგრესის შეფასების პროცესი და გამოყენებული დაშვებები კომპლექსური და განსჯას დაფუძნებული უნდა იყოს. გარდა ამისა, ეს სტანდარტი ვრცელ განმარტებებსაც მოითხოვს. ჯგუფმა ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული მსჯელობები (გაანგარიშებები) და გადაწყვეტილებები. ჯგუფის მონაცემებით, 2019 წლის ამონაგებმა სამშენებლო და

სარემონტო მომსახურებიდან შეადგინა 43,570,016 ლარი, შესაბამისმა თვითღირებულებამ შეადგინა 38,868,405 ლარი, გასაყიდად გამიზნულმა დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთმა მარაგებში შეადგინა 1,128,546 ლარი. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, რა ოდენობის კორექტირების შეტანა იყო საჭირო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტებთან მიმართებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო მოთხოვნების უმეტეს ნაწილზე, და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა ამ მოთხოვნებისა და მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირების შეტანა.

ასევე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებების უმეტეს ნაწილზე, და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა ამ ვალდებულებებისა და მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირების შეტანა.

ჯგუფს არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სიახლეების დანერგვა და შესაბამისი გავლენის ასახვა ფინანსური ანგარიშგების მონაცემებში. კონკრეტულად კი, საუბარია ფასს 16 სტანდარტზე „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელიც გულისხმობს იჯარის ოპერაციების ახლებური აღრიცხვის მოდელს. ჯგუფმა არ გამოიყენა ახალი სტანდარტის მიდგომები იჯარების აღრიცხვასთან დაკავშირებით. მას იჯარის ხარჯები აღიარებული ჰქონდა ადმინისტრაციულ ხარჯებში, ხოლო საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიან ვალდებულებებში. ეს სტანდარტი კი გულისხმობს, რომ მოიჯარემ უნდა აღიაროს აქტივის „გამოყენების უფლება“ და შესაბამისი ფინანსური ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება უნდა მოახდინოს იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეაფასოს ამორტიზებული ღირებულებით. იჯარის ხარჯებმა 2019 წელს შეადგინა 72,874 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა გამოყენების უფლების მქონე აქტივის ღირებულება და მისი შესაბამისი ვალდებულების განსაზღვრა და ასევე მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

ჯგუფის მიერ არ მომხდარა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკურის სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების იდენტიფიცირება. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა რამდენად სწორად იყო ასახული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო მოთხოვნები და შესაბამისი საექვო მოთხოვნების რეზერვი, ასევე მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 14 თებერვალს გამოთქვა პირობითი მოსაზრება. ჯგუფის მიერ 2020 წლის 14 თებერვლის

შემდეგ მოხდა სხვადასხვა სახის ცვლილებების შეტანა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი პერიოდის მონაცემებში. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა საჭირო იყო თუ არა ამ ცვლილებებში კორექტირებების შეტანა.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 3-„ა“ განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც ეხება ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას. ამ შენიშვნაში აღნიშნული გარემოებები, პირველ რიგში კი ჯგუფის ვალდებულებების მნიშვნელოვნად აღმატების ფაქტი მისავე მიმდინარე აქტივებზე, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა ჯგუფიმ. თუმცა, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება. ჯგუფის ფუნქციონირება 2020-2021 წლებში ფაქტობრივად გაგრძელდა. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას;

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების კომპანიები...

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს

აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების კომპანიები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

ჯგუფი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

ჯგუფის 2019 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო

მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 41.

18 მაისი, 2021 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 312 283	465 334	279 014	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	612 120	355 801	325 685	6
გადახდილი ავანსები	11 997 211	9 231 871	11 447 578	7
მარაგები	19 548 431	11 087 488	2 317 854	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6 897 649	10 212 284	5 714 801	9
სხვა მიმდინარე აქტივები	211 047	204 455	194 584	
მიმდინარე აქტივები სულ:	40 578 741	31 557 234	20 279 515	
გრძელვადიანი აქტივები :				
ძირითადი საშუალებები	1 791 811	2 058 806	2 262 884	10
საინვესტიციო ქონება	1 990 577	2 041 617	2 093 967	11
არამატერიალური აქტივები	4 262	5 014	5 898	
გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	8 708 989	6 786 383	2 790 163	12
გრძელვადიანი აქტივები სულ:	12 495 638	10 891 820	7 152 911	
აქტივები სულ:	53 074 379	42 449 054	27 432 426	
მიმდინარე ვალდებულებები:				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 855 751	5 982 166	234 072	13
მიღებული ავანსები	44 602 129	32 814 746	23 366 590	14
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	87 269	188 122	158 104	15
გადასახდელი გადასახადები	1 530 043	1 314 753	1 627 569	9
გადასახდელი პროცენტები	13 450	13 852	13 669	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	436 009	346 749	234 932	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	50 524 651	40 660 388	25 634 935	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	2 513 835	2 427 770	2 533 406	15
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 211	94 756	124 082	
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	2 564 046	2 522 525	2 657 488	
ვალდებულებები სულ:	53 088 697	43 182 914	28 292 423	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	99 360	55 650	-	
გაუნაწილებელი მოგება	(113 677)	(789 510)	(859 997)	
კაპიტალი სულ:	(14 317)	(733 860)	(859 997)	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	53 074 379	42 449 054	27 432 426	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2019	2018	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	44 177 624	35 060 751	16
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(39 307 174)	(31 341 022)	17
საერთო მოგება	4 870 450	3 719 730	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3 598 155)	(3 332 839)	18
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1 272 295	386 891	
ფინანსური ხარჯები	(276 524)	(275 112)	
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(408 519)	(116 457)	
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	88 581	75 166	
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(596 462)	(316 403)	
მოგება დაბეგვრამდე:	675 833	70 487	
მოგების გადასახადის ხარჯი			
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	675 833	70 487	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	675 833	70 487	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018-თვის	-	(859 997)	(859 997)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		70 487	70 487
საწესდებო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	55 650		55 650
ნაშთი 31.12.2018-თვის	55 650	(789 510)	(733 860)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		675 833	675 833
საწესდებო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	43 710		43 710
ნაშთი 31.12.2019-თვის	99 360	(113 677)	(14 317)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2019	2018	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	56 149 795	44 610 167	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(48 188 474)	(29 735 926)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(9 029 882)	(6 717 688)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(1 430 931)	(1 089 539)	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(7 800)	(9 685)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	6 383 660	(1 537 440)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(410 973)	(41 386)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3 465 395	5 478 504	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(164 178)	(256 301)	
ინვესტიცია შეიღობილ საწარმოში	(13 500)	-	
ინვესტიცია სხვა საწარმოებში	(1 909 106)	(3 963 220)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 086 784)	(4 219 521)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი კაპიტალის ზრდისაგან	91 000	55 650	
გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	(47 290)	-	
სესხების დაფარვა	(144 714)	(154 389)	19
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(52 535)	(47 372)	
გადახდილი პროცენტები	(246 036)	(867 160)	20
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(399 576)	(1 013 271)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(132 086)	(59 391)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	846 949	186 320	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	465 334	279 014	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 312 283	465 334	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „აქსის კონსტრაქშენი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2014 წლის 25 დეკემბერს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 405076956, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა № 32. ჯგუფი დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია ალექსანდრე სამარგულიანი (პ/ნ 01024032511). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის – ალექსანდრე სამარგულიანი (პ/ნ 01024032511 - საქართველო).

კომპანიის დირექტორია ალექსანდრე სამარგულიანი (პ/ნ 01024032511).

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი კომპანიების მშობელ ჯგუფს:

- შპს „პალასი ცენტრი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404539781, რეგისტრირებული 15.06.2017წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, რუსუდან მეფისაშვილის ქ., №25, ბ.14. დირექტორი - გიორგი კაპანაძე, პ.ნ. 01024018293, წილობრივი მონაწილეობა - 100%. დაფუძნების დღიდან დღემდე არ ახორციელებს საქმიანობას.
- შპს „აქსის ჰოსფიტალიტი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405355315, რეგისტრირებული 27.09.2019წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, სულხან ცინცაძის ქ., N 32, ბ. 21. დირექტორი - გიორგი სამარგულიანი, პ.ნ. 01018004330, წილობრივი მონაწილეობა - 100%. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო საქმიანობის მენეჯმენტი.

კომპანია ფლობს ინვესტიციებს საქართველოში დაფუძნებული შემდეგ კომპანიებში:

- შპს „აქსის გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404954117, რეგისტრირებული 06.08.2012წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, საბურთალოს ქ., N40, კორპ. 2, ბ. 21. დირექტორი - თეიმურაზ ჭოხონელიძე, პ.ნ. 01007000662, წილობრივი მონაწილეობა - 5%.
- შპს „ეიჩ ეს ი სერვის გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405232449, რეგისტრირებული 13.10.2017წ. იურიდიულ მისამართზე - ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 17, ბინა 12. დირექტორი - გიორგი ოჩიგავა, პ.ნ. 61001048465. წილობრივი მონაწილეობა - 4%.

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, საიჯარო და სარემონტო მომსახურება.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს სამსჯელო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2017 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS ანუ „ფასს“-ები) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მეორე კატეგორიის ჯგუფის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით და აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპის – დარიცხვის მეთოდის დაცვით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ ახლო მომავალში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა (მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლევადიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად აჭარბებს მის მიმდინარე აქტივებს). აღნიშნული იმიტაც დასტურდება, რომ 2020 წელს შექმნილი Covid-19-თან დაკავშირებული სიტუაციის მიუხედავად ჯგუფი ინფრასტრუქტურის ნაწილში ახორციელებს ინვესტიციებს, ასევე ახდენს მუშაობის სქემისა და პროცედურების ადაპტაციას ახალი რეალობის

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შესაბამისად. შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთი ერთეულის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2019, 2018 და 2017 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
ლარი / 1 USD	2.8677	2.6766	2.5922
ლარი / 1 EUR	3.2095	3.0701	3.1044
ლარი / 100 RUB	4.6423	3.8588	4.4935

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მიიღველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ჯგუფი შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან, საქონლის რეალიზაციიდან და საოპერაციო საიჯარო გადასახადიდან. მისი პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით ახსნილია ქვემოთ (სამშენებლო კონტრაქტები, საქონლის რეალიზაცია და იჯარა):

სამშენებლო კონტრაქტები

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდაა შესაძლებელი, შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამშენებლო საქმიანობის დასრულების ეტაპის მითითებით, ანუ ფიზიკური წილის დასრულების მიხედვით.

საკონტრაქტო სამუშაოების ცვლილება, სხვადასხვა სახის პრეტენზიები და წამახალისებელი გადახდები გაითვალისწინება მაშინ, თუ მათი ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი და მისი მიღებაც საკმაოდ რეალურია.

როდესაც სამშენებლო კონტრაქტის შედეგის ვარაუდი სარწმუნოდ არ არის შესაძლებელი, საკონტრაქტო შემოსავალი აღიარდება იმ ხარჯების ოდენობით, რომელთა ამოღებაც სავარაუდოა. საკონტრაქტო ხარჯები ხარჯებად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯი საკონტრაქტო შემოსავალს გადააჭარბებს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

როდესაც კონკრეტულ მომენტამდე გაწეული საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამი, აღიარებული ზარალის გამოკლებით, აჭარბებს შუალედურ ანგარიშებს, სიჭარბეს ჯგუფი უჩვენებს როგორც საკონტრაქტო სამუშაოებიდან კლიენტებისგან მიღებულ თანხას. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, სადაც შუალედური ანგარიშები აჭარბებს ამ მომენტამდე გაწეულ საკონტრაქტო ხარჯებისა და აღიარებული მოგების ჯამს, აღიარებული ზარალის გამოკლებით, სიჭარბეს ჯგუფი უჩვენებს, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებისათვის კლიენტებისთვის გადასახდელ თანხებს. სამუშაოს ჩატარებამდე მიღებული თანხები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის როგორც ვალდებულება, როგორც მიღებული ავანსები. ჩატარებული და დარიცხული სამუშაო, რომელიც კლიენტის მიერ ჯერ არ ანაზღაურებულა, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის როგორც მოთხოვნა მშენებლობიდან.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ჯგუფი მიიღებს ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს; და ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის მოლაპარაკება-გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება გაქირავებული აქტივის საბალანსო ღირებულებას და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

ჯგუფის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და სხვა შემოსავალი. ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ჯგუფის ფინანსურ ხარჯები მოიცავს სესხზე დარიცხული პროცენტის თანხებს, სესხის სადაზღვევო და საგარანტიო ხარჯებს, პირგასამტეხლოს თანხებს, საგადასახადო ჯარიმებს და საურავებს.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფის გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2017 წლიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადით დაბეგვრის წესი, რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან „ესტონური მოდელის“ შესაბამისად, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის (გარდა ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისისა). შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა

თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ვ) მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება ფიფო მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ზ) ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებად ნაშთთა მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება: თუ ძირითადი საშუალების/ საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო თვის პირველ ნახევარში, იმავე თვიდან, ხოლო თუ თვის მეორე ნახევარში დაიწყო, მაშინ მომდევნო თვიდან.

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ჯგუფში.

საწარმო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო განსაკუთრებული აქტივებისათვის - ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის ალების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით:

შენობები	2.5%
მანქანა-დანადგარები	20%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20%
სხვა	10%-20%

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდები აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

ჯგუფი არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. ჯგუფი აღრიცხავს ცვეთას კლებადი ნაშთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით, წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

თ) გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა კომპანიებში

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

მეკავშირე კომპანიები

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ., შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს). სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშვნელოვანი წილის, ან საკონტროლო პაკეტის ფლობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე საწარმოს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშვნელოვანი გავლენა მოცემულ საწარმოზე. მეკავშირე საწარმოში აღიარებულია წილობრივი მეთოდით. ინვესტიციების აღრიცხვა წილობრივი მეთოდით იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ინვესტირებული საწარმო მიიჩნევა მეკავშირე საწარმოდ.

ერთობლივი საწარმო

ერთობლივი საწარმო არის ერთობლივი საქმიანობა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთობლივი კონტროლის უფლება საქმიანობაზე, აქვთ უფლებები ამ საქმიანობის ნეტო აქტივებზე.

ინვესტიციები სხვა საწარმოებში აღიარდება თვითღირებულების მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სათავო კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს ჯგუფი ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;

და

2) როცა ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც ჯგუფი იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. ცალკეულ შემთხვევაში დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურებული ზარალი აღიარდება კონსოლიდირებული მიდგომით, როდესაც ამგვარი მიდგომით უფრო საიმედო შეფასება ხდება.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ლ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

მ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი

ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ნ) ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1 312 283	465 334	279 014
	1 312 283	465 334	279 014

ჯგუფს ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს 4 კომერციულ ბანკში - სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბანკი ქართუ“, სს „ტერაბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ადგილობრივი დამკვეთები	610 838	354 870	325 685
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	-	-	-
	610 838	354 870	325 685

7. გადახდილი ავანსები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ავანსები ადგილობრივ მიმწოდებლებზე	10 538 718	8 355 122	11 363 205
ავანსები არარეზიდენტ მიმწოდებლებზე	1 458 493	876 749	84 373
	11 997 211	9 231 871	11 447 578

8. მარაგები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ნედლეული და მასალები	13 434 945	8 368 480	1 720 432
დაუმთავრებელი მშენებლობა	6 112 429	2 717 952	571 433
სხვა მარაგები	1 057	1 057	25 989
	19 548 431	11 087 488	2 317 854

9. გადასახადები და სხვა აქტივები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ერთ გადასახადში ჯგუფის ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება. 2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და ჯგუფის დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

ჯგუფი ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და საბაჟო გადასახდელები.

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადეკლარირებული ან დასადეკლარირებელი გადასახადები	97 680	104 953	82 458
გადახდილ ავანსზე მიღებული დღგ-ის ჩათვლა, აღსადგენი ჩასათვლელი აქტივები	1 432 363 (187 864)	1 209 800 (514 515)	1 545 111 (1 107 908)
მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ	(4 695 312)	(4 173 294)	(3 727 374)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(2 014 473)	(5 524 475)	(879 519)
	(5 367 606)	(8 897 531)	(4 087 231)

შპს „აქსის კონსტრუქციები“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მანქანა- დანადგარები	სამშენებლო ინვენტარი	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა	სულ
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	936 043	503 381	117 745	984 694	2 541 863
დამატება	7 288	23 880	25 311	107 699	164 179
(შემცირება)	-	-	-	(188)	(188)
გადაფასება	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	943 331	527 261	143 056	1 092 205	2 705 854
					-
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება					
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	(186 713)	(88 993)	(21 214)	(186 137)	(483 058)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(150 193)	(85 586)	(21 566)	(173 640)	(430 986)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(336 907)	(174 579)	(42 780)	(359 777)	(914 043)
					-
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	606 425	352 682	100 276	732 428	1 791 811

შპს „აქსის კონსტრუქციები“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მანქანა- დანადგარები	სამშენებლო ინვენტარი	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	სხვა	სულ
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	930 704	374 978	92 568	864 634	2 262 884
დამატება	5 339	128 404	25 177	120 187	279 107
(შემცირება)	-	-	-	(127)	(127)
გადაფასება	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	936 043	503 381	117 745	984 694	2 541 863
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება					
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(186 713)	(88 993)	(21 214)	(186 137)	(483 058)
ჩამოწერა	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(186 713)	(88 993)	(21 214)	(186 137)	(483 058)
					-
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	749 330	414 388	96 532	798 556	2 058 806

11. საინვესტიციო ქონება

	შენობა- ნაგებობა
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	2 093 967
დამატება	-
(შემცირება)	-
გადაფასება	-
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 093 967
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	
ნაშთი 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	(52 349)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(51 040)
ჩამოწერა	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(103 390)
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 990 577
	შენობა- ნაგებობა
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	2 093 967
დამატება	-
(შემცირება)	-
გადაფასება	-
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 093 967
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	
ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(52 349)
ჩამოწერა	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(52 349)
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 041 617

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ჯგუფის საინვესტიციო ქონება მოიცავს 2017 წელს ქალაქ თბილისში, ცინცაძის #12-ში შეძენილ კომერციულ ფართებს, რომლებსაც ჯგუფი იჯარით გასცემს. მენეჯმენტის შეფასებით ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით უდრის მის საბალანსო ღირებულებას.

12. გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა ჯგუფებში

ჯგუფის გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა კომპანიებში მოიცავს:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
შპს აქსის გრუპი	8 675 486	6 766 380	2 770 160
შპს ეიჩ ეს ი სერვის გრუპი	20 003	20 003	20 003
შპს აქსის ჰოსფიტალითი	13 500	-	-
	8 708 989	6 786 383	2 790 163

2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს საწესდებო კაპიტალის 5%-ს და 4%-ს შპს „აქსის გრუპ“-ში და შპს „ეიჩ ეს ი სერვის გრუპ“-ში, შესაბამისად.

ჯგუფის მენეჯმენტი არ მიიჩნევს, რომ ჯგუფი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახორციელებს ამ კომპანიებზე, რადგან მათ დანარჩენ წილებს სხვა მფლობელები ფლობენ, რომლებიც წარმართავენ კომპანიების ყოველდღიურ საქმიანობას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასევე ფლობს საწესდებო კაპიტალის 100%-ს შპს „აქსის ჰოსფიტალითი“-ში.

13. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

ჯგუფის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
რეზიდენტი მიმწოდებლები	3 754 916	5 893 663	147 043
არარეზიდენტი მიმწოდებლები	100 835	88 504	87 029
	3 855 751	5 982 166	234 072

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს ბინების მშენებლობისათვის მიღებულ ავანსებს.

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ავანსები ადგილობრივი დამკვეთებისგან	44 258 607	32 668 355	23 366 590
ავანსები არარეზიდენტი დამკვეთებისგან	342 240	145 460	-
	44 600 847	32 813 815	23 366 590

15. მიღებული სესხები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
სს ბანკი ქართუ	2 115 869	2 129 770	2 198 992
სს საქართველოს ბანკი	485 234	486 121	492 518
	2 601 104	2 615 892	2 691 510

16. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან	41 690 346	34 393 409
შემოსავალი სარემონტო მომსახურებიდან	1 879 669	110 791
შემოსავალი იჯარიდან	542 581	504 725
შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან	61 265	51 181
სხვა შემოსავლები	3 762	646
	44 177 624	35 060 751

17. რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება

	2019	2018
სამშენებლო მომსახურების ხარჯები	(38 868 405)	(30 578 700)
სარემონტო მომსახურების ხარჯები	-	(81 261)
რეალიზებული მასალების თვითღირებულება	(59 450)	(205 869)
მშენებლობაში გამოყენებული ძს ცვეთის ხარჯები	(366 770)	(453 889)
სხვა ხარჯები	(12 550)	(21 303)
	(39 307 174)	(31 341 022)

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(3 193 619)	(2 932 231)
იჯარის ხარჯები	(72 874)	(88 339)
კომუნიკაციის ხარჯები	(12 367)	(9 992)
იურიდიული მომსახურების ხარჯები	(42 000)	(50 754)
ცვეთა და ამორტიზაცია	(116 009)	(82 403)
საგადასახადო ხარჯები	(37 993)	(40 510)
საბანკო ხარჯები	(39 106)	(45 582)
სხვა	(84 188)	(83 028)
	(3 598 155)	(3 332 839)

19. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - სასესხო ვალდებულებები**2019 წელი**

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2019
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	2 615 892	(144 714)					(129 926)	2 601 104
სულ:	2 615 892	(144 714)	-	-	-	-	(129 926)	2 601 104

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2018 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულების აღება რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	2 691 510	(154 389)		27 519			(106 290)	2 615 892
სულ:	2 691 510	(154 389)	-	27 519	-	-	(106 290)	2 615 892

20. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - პროცენტები

2019 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულების აღება რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2019
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	13 852	(246 036)		36 373	276 524	5 467	(16)	13 450
სულ:	13 852	(246 036)	-	36 373	276 524	5 467	(16)	13 450

2018 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულების აღება რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	13 669	(867 160)		648	265 237	602 445	(309)	13 852
სულ:	13 669	(867 160)	-	648	265 237	602 445	(309)	13 852

21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

22. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

ჯგუფის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს, აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

შპს „აქსის კონსტრუქციები“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

31.12.2019

	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 022	25 820	-	28 843
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	216 683	-	216 683
სხვა აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	3 022	242 504	-	245 526
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(99 131)	(3 272 296)	-	(3 371 427)
მიღებული სესხები	-	(2 601 104)	-	(2 601 104)
სხვა ვალდებულებები	-	(63 661)	-	(63 661)
ვალდებულებები სულ:	(99 131)	(5 937 060)	-	(6 036 191)
ნეტო შედეგი	(96 108)	(5 694 557)	-	(5 790 665)
USD (10% ცვლილება)	(569 456)			
EUR (10% ცვლილება)	(9 611)			
RUB (10% ცვლილება)	-			

31.12.2018

	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36 580	36 878	63	73 521
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	36 580	36 878	63	73 521
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(86 951)	(5 344 008)	-	(5 430 959)
მიღებული სესხები	-	(2 615 892)	-	(2 615 892)
სხვა ვალდებულებები	-	(108 607)	-	(108 607)
ვალდებულებები სულ:	(86 951)	(8 068 507)	-	(8 155 458)
ნეტო შედეგი	(50 371)	(8 031 629)	63	(8 081 937)
USD (10% ცვლილება)	(803 163)			
EUR (10% ცვლილება)	(5 037)			
RUB (10% ცვლილება)	6			

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

01.01.2018

	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33 686	16	0	33 703
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
სხვა აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	33 686	16	0	33 703
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(87 010)	-	-	(87 010)
მიღებული სესხები	-	(2 691 510)	-	(2 691 510)
სხვა ვალდებულებები	-	(137 753)	-	(137 753)
ვალდებულებები სულ:	(87 010)	(2 829 262)	-	(2 916 273)
ნეტო შედეგი	(53 324)	(2 829 246)	0	(2 882 570)
USD (10% ცვლილება)	(282 925)			
EUR (10% ცვლილება)	(5 332)			
RUB (10% ცვლილება)	0			

23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები
დირექტორთან და პარტნიორთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	ტრანზაქციის დირებულება 2019 წელი	ტრანზაქციის დირებულება 2018 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	48 894	(395 745)	(284 090)

შპს „აქსის კონსტრუქტინი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ტრანზაქციები საწარმოებთან, სადაც კომპანია ფლობს წილებს

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წელი
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9 882	8 803	241		
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	6 616	20 116	20 116		
მიღებული ავანსები	1 515 437	1 956 295	64 347		

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წელი
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-		
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	-	-	-		
მიღებული ავანსები	2 551 678	1 225 373	702 908		
ხელფასები და სხვა სარგებელი				(288 320)	(427 675)

24. ფინანსური ანგარიშგების შესადარისი პერიოდის ცვლილებები

ჯგუფმა 2020 წლის 14 თებერვალს წარადგინა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება, თუმცა შემდგომ მოახდინა ცვლილებების შეტანა აღნიშნული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამ მიზეზით, ჯგუფი 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს საანგარიშო წლის წინა წლის (2018 წლის) შესადარის ინფორმაციასთან და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასთან ერთად. ცვლილებები შესწორებულ იქნა თითოეული შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. ამასთან, 2018 წელს ჯგუფის წარდგენილი ჰქონდა ფინანსური ანგარიშგება 1000 (ერთი ათასი) ლარის სიზუსტით, ხოლო 2019 წელს წარადგინა ერთეული ლარის სიზუსტით.

25. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახალი კორონავირუსი (COVID-19), რომელმაც გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და რამდენიმე კვირაში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს პერიოდში.

ამ გარემოებებმა შემდეგი გავლენა იქონია ჯგუფის საქმიანობაზე:

შპს „აქსის კონსტრუქშენი“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- სამშენებლო ვადების გადაწევა. საქართველოში პანდემიასთან დაკავშირებით გამოცხადდა გარკვეული შეზღუდვები, რამაც ხელი შეუშალა სამშენებლო სამუშაოების დროულ შესრულებას. ასევე სამშენებლო ობიექტზე ადგილი ჰქონდა მუშახელის ვირუსით დაინფიცირების შემთხვევებს. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მომწოდებლები დროულად ვერ ახერხებდნენ სამშენებლო ინვენტარისა და მასალების მოწოდებას;
-
- ზედნადები ხარჯების გაზრდა. სამშენებლო ვადების გადაწევამ ბუნებრივად გამოიწვია ფიქსირებული ხარჯების გაზრდა. ამასთანავე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის გამო, ჯგუფიმ დამატებით დაიქირავა ტრანსპორტი, რათა უზრუნველყო დაქირავებული მუშახელის გადაადგილება, რამაც გამოიწვია სატრანსპორტო ხარჯების გაზრდა.

თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები ჯგუფისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო სასამართლოებში ჯგუფს არ გააჩნდა სასამართლო დავა.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 18 მაისამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ საყურადღებო არამაკორექტირებელ მოვლენას - მოხდა ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურება აშშ დოლარისა და ევროს მიმართ. კერძოდ, 2021 წლის 18 მაისის მდგომარეობით ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

1 USD=3.3979 ლარი; 1 EUR=4.1325 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, გარდა 25-ე შენიშვნაში აღნიშნული Covid-19-ის პანდემიის გავრცელებისა, ადგილი არ ჰქონია.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 18 მაისს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „აქსის კონსტრაქშენი“

2019 წლის კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „აქსის კონსტრაქშენი“ დაარსდა 2014 წლის 25 დეკემბერს. რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 405076956, იურიდიულ მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ., #32, ბინა 21.

შპს „აქსის კონსტრაქშენი“-ს პარტნიორია:

ალექსანდრე სამარგულიანი (პ/ნ 01024032511) 1000% წილის მფლობელი პარტნიორი;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების დეველოპმენტი.

„აქსის კონსტრაქშენი“ ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც გახდა თავისი დარგის პიონერი და სხვადასხვა მიმართულების განვითარების ინიციატორი, ქვეყანაში შემოიტანა თანამედროვე არქიტექტურის, მენეჯმენტისა და მომსახურების სრულიად ახალი მიდგომა. მისმა საქმიანობამ აგრეთვე განაპირობა ახალი დარგებისა და ბიზნესების გაჩენის აუცილებლობა, რითაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

„აქსისის“ ასოცირება მუდმივად ხდება ინოვაციასა და პირველობასთან. იგი გახდა დარგის ლოკომოტივი და ბაზარზე სტანდარტის დამწერგავი დეველოპერული კომპანია. სწორედ მან შემოიტანა საქართველოში სიტყვა „დეველოპმენტის“ ცნება, დღეს კი წარმატებით ასრულებს პირველი ტყუპი ცათამბჯენის „აქსის თაუერის“ მშენებლობას საქართველოში და მისი უნიკალური არქიტექტურით და გამორჩეული ინფრასტრუქტურით თანამედროვე თბილისის ლენდმარკად ყალიბდება.

აქსისის პროექტები გამოირჩევა თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, თანამედროვე არქიტექტურითა და რაც მთავარია ხარისხით, რის გამოც წლებია მომხმარებელი ირჩევს „აქსისს“.

აქსისის გუნდი წლებია ემსახურება საერთო იდეას საერთო ღირებულებებით: ხარისხი, ინოვაცია, განვითარება. ის წლებია ცდილობს შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც ცხოვრების სტილის სრულიად ახალ სტანდარტს და მოთხოვნებს დაწერგავს საქართველოში. კომპანიის მიზანი კი გარემოს განვითარებაა, რომელიც მოიტანს თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი კომპანიების მშობელ ჯგუფს:

- შპს „პალასი ცენტრი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404539781, რეგისტრირებული 15.06.2017წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, რუსუდან მეფისაშვილის ქ., №25, ბ.14. დირექტორი - გიორგი კაპანაძე, პ.ნ. 01024018293, წილობრივი მონაწილეობა - 100%. დაფუძნების დღიდან დღემდე არ ახორციელებს საქმიანობას.

- შპს „აქსის ჰოსფიტალიტი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405355315, რეგისტრირებული 27.09.2019წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, სულხან ცინცაძის ქ., N 32, ბ. 21. დირექტორი - გიორგი სამარგულიანი, პ.ნ. 01018004330, წილობრივი მონაწილეობა - 100%. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნე საქმიანობის მენეჯმენტი.

კომპანია ფლობს ინვესტიციებს საქართველოში დაფუძნებული შემდეგ კომპანიებში:

- შპს „აქსის გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404954117, რეგისტრირებული 06.08.2012წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, საბურთალოს ქ., N40, კორპ. 2, ბ. 21. დირექტორი - თეიმურაზ ჭოხონელიძე, პ.ნ. 01007000662, წილობრივი მონაწილეობა - 5%.
- შპს „ეიჩ ეს ი სერვის გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405232449, რეგისტრირებული 13.10.2017წ. იურიდიულ მისამართზე - ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 17, ბინა 12. დირექტორი - გიორგი ოჩიგავა, პ.ნ. 61001048465. წილობრივი მონაწილეობა - 4%.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2019 წლის ბოლოსათვის, ჯგუფის კაპიტალი შეადგენს -14 ათას ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 40,6 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 12.5 მილიონი ლარი.

2018 წლის ბოლოსათვის, ჯგუფის კაპიტალი შეადგენს -734 ათას ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 31,6 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 42,4 მილიონი ლარი.

ჯგუფის ამონაგებმა 2019 წელს - 44,2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 35,0 მილიონი ლარი.

2019 წლის სახელფასო ფონდმა 11,6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს 8,4 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით ჯგუფს 2019 წელს გადახდილი აქვს -6,4 მილიონი ლარი (ბიუჯეტიდან დაბრუნებული გადასახადი შეადგენდა 7,4 მილიონ ლარს), ხოლო 2018 წელს 1,5 მილიონი ლარი.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის მიმდინარე პროექტებია:

აქსის თაუერსის მშენებლობა;
სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები:

- აქსისი ჭავჭავაძის 75-ში;
- აქსისი საირმეზე;
- აქსისი აბაშიძის 34-ში;
- აქსის პალასი 1;
- აქსის პალასი 2;
- აქსისი იპოდრომზე (კარტოზიას #2 და კარტოზიას #4);
- წინამძღვრიშვილის 125.

2019 წლის გაყიდვები დაღმავალი ტენდენციით გამოიხატა, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვემოთ აღნიშნული რისკ-ფაქტორებით:

ძირითადი რისკები:

ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- იპოთეკურ სესხებზე ახალი საბანკო რეგულაციები
- გამკაცრებული სამშენებლო რეგულაციები

მომავლის გეგმები:

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა ჯგუფის სამომავლო მიზანია შეინარჩუნოს ნოვატორი, საუკეთესო ხარისხის პროდუქტის შემქმნელი ბრენდის პოზიცია და უკვე მუშაობს 3 ახალ მულტიფუნქციურ პროექტზე ქალაქის ცენტრალურ უბნებში და უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას; ასევე დაგეგმილი აქვს სტუმართმასპინძლობის და ტურიზმის სექტორში რამდენიმე საინტერესო პროექტის დაწყება.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ჯგუფის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობაზე, ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორი - ალექსანდრე სამარგულიანი.

დღეისათვის კომპანიაში დასაქმებულია 431 თანამშრომელი;

ორგანიზაცია აერთიანებს 10 დეპარტამენტს: არქიტექტორულს, საინჟინროს, სამშენებლოს, დიზაინის, პროექტების მართვის, ფინანსების, იურიდიულ, გაყიდვებისა და სერვისის და მარკეტინგის განყოფილებებს.

ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯგუფში შრომის უსაფრთხოების სისტემების დანერგვის პროგრამას ახალი რეგულაციების შესაბამისად. ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი სისტემატურ რეჟიმში ახორციელებს თანამშრომელთა ტრენინგებს, ახდენს ახალი რეგულაციების გაცნობას და ცნობიერების ამაღლებას;

კორპორატიული მართვის სრულყოფისთვის კომპანია წერგავს საერთაშორისო სტანდარტების, საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

თანამშრომელთა ჩართულობა - საბოლოო პროდუქტის მიღებისას ყველა თანამშრომელი გრძნობს თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი შექმნის პროცესში;

თანასწორობა - ყველა თანამშრომელს აქვს თანაბარი შესაძლებლობა დაიცვას მისი ინტერესი და უფლება, გამოხატოს აზრი და დააფიქსიროს მისი პოზიცია;

ინტერესთა კონფლიქტის მართვა - განიმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში.

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „აქსის კონსტრაქშენის“ დირექტორის ალექსანდრე სამარგულიანის მიერ 2021 წლის 18 მაისს:

ალექსანდრე სამარგულიანი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი ჯგუფის პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2021 წლის 18 მაისს;

დირექტორი



ალექსანდრე სამარგულიანი



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, 0177, გაყა-ფშაველას გამზირი №41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-56

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „აქსის კონსტრაქშენის“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „აქსის კონსტრაქშენის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 405076956) (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აუდიტორული მომსახურების გაწევა ჩვენმა აუდიტურმა კომპანიამ დაიწყო 2020 წლის სექტემბრიდან, რის გამოც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ფიზიკურ გადათვლას ვერ დავესწარი. ჩვენ ვერ შევძელით, საანგარიშგებო პერიოდის (2019 წელი) დასაწყისში და ბოლოს, ასევე შესადარისი პერიოდის (2018 წელი) დასაწყისში და ბოლოს (რაც იგივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისია) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების რაოდენობაში და სახეობრივ შემადგენლობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება, ასევე მათი ისტორიული ღირებულებების დადგენა, რომლებიც ჯგუფს ასახული აქვს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის შეადგენს 1,791,811 ლარს და 1,990,577 ლარს შესაბამისად, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2,058,806 ლარს და 2,041,617 ლარს შესაბამისად.

საშუალებებთან, საინვესტიციო ქონებასთან, ცვეთის ხარჯებთან და ასევე, დაუფარავ ზარალთან დაკავშირებით.

გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით აუდიტორული მომსახურების გაწევა ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2020 წლის სექტემბრიდან, რის გამოც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას ვერ დავესწარიტ. ჩვენ ვერ შევძელიტ, საანგარიშგებო პერიოდის (2019 წელი) დასაწყისში და ბოლოს, ასევე შესადარისი პერიოდის (2018 წელი) დასაწყისში და ბოლოს (რაც იგივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისია) მარაგების რაოდენობებში და სახეობრივ შემადგენლობებში დარწმუნება, რომლებიც ჯგუფს ასახული აქვს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მარაგების საბალანსო ღირებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს შეადგენდა 19,548,431 ლარს და 11,087,488 ლარს შესაბამისად. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან, ასევე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა კომპანიებში შეადგენს 8,708,989 ლარს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 6,786,383 ლარს. ჩვენ ვერ შევძელიტ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა შეგვემოწმებინა ამ ინვესტიციების საბალანსო ღირებულება. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელიტ იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტთან მიმართებით.

ჯგუფის მიერ წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მოიცავდეს სათავო კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესადარის პერიოდებთან ერთად. ჩვენ ვერ შევძელიტ გავცნობოდით შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელიტ იმის დადგენა საჭირო იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტებთან მიმართებით.

ჯგუფი ახორციელებს სამშენებლო და სარემონტო საქმიანობას. ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ კომპანიებს ავალდებულებს, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარებისთვის გამოიყენონ დასკვნებზე დაფუძნებული შეფასება და კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე მოდელის თითოეული ზომის გამოყენებისას მხედველობაში მიიღონ ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება. სტანდარტი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტის მოპოვების ზედნადები ხარჯებისა და მისი შესრულების პირდაპირი ხარჯების აღრიცხვა. ამასთან სახელშეკრულებო ვალდებულებების დროთა განმავლობაში შესრულების პროგრესის შეფასების პროცესი და გამოყენებული დაშვებები კომპლექსური და განსჯას დაფუძნებული უნდა იყოს. გარდა ამისა, ეს სტანდარტი ვრცელ განმარტებებსაც მოითხოვს. ჯგუფმა ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული მსჯელობები (გაანგარიშებები) და გადაწყვეტილებები. ჯგუფის მონაცემებით, 2019 წლის ამონაგებმა სამშენებლო და

სარემონტო მომსახურებიდან შეადგინა 43,570,016 ლარი, შესაბამისმა თვითღირებულებამ შეადგინა 38,868,405 ლარი, გასაყიდად გამიზნულმა დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთმა მარაგებში შეადგინა 1,128,546 ლარი. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, რა ოდენობის კორექტირების შეტანა იყო საჭირო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ამ ელემენტებთან მიმართებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო მოთხოვნების უმეტეს ნაწილზე, და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა ამ მოთხოვნებისა და მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ასევე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებების უმეტეს ნაწილზე, და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა ამ ვალდებულებებისა და მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჯგუფს არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სიახლეების დანერგვა და შესაბამისი გავლენის ასახვა ფინანსური ანგარიშგების მონაცემებში. კონკრეტულად კი, საუბარია ფასს 16 სტანდარტზე „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელიც გულისხმობს იჯარის ოპერაციების ახლებური აღრიცხვის მოდელს. ჯგუფმა არ გამოიყენა ახალი სტანდარტის მიდგომები იჯარების აღრიცხვასთან დაკავშირებით. მას იჯარის ხარჯები აღიარებული ჰქონდა ადმინისტრაციულ ხარჯებში, ხოლო საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიან ვალდებულებებში. ეს სტანდარტი კი გულისხმობს, რომ მოიჯარემ უნდა აღიაროს აქტივის „გამოყენების უფლება“ და შესაბამისი ფინანსური ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება უნდა მოახდინოს იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეაფასოს ამორტიზებული ღირებულებით. იჯარის ხარჯებმა 2019 წელს შეადგინა 72,874 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა გამოყენების უფლების მქონე აქტივის ღირებულება და მისი შესაბამისი ვალდებულების განსაზღვრა და ასევე მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

ჯგუფის მიერ არ მომხდარა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკურის სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების იდენტიფიცირება. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა რამდენად სწორად იყო ასახული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო მოთხოვნები და შესაბამისი საექვო მოთხოვნების რეზერვი, ასევე მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 14 თებერვალს გამოთქვა პირობითი მოსაზრება. ჯგუფის მიერ 2020 წლის 14 თებერვლის

შემდეგ მოხდა სხვადასხვა სახის ცვლილებების შეტანა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი პერიოდის მონაცემებში. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა საჭირო იყო თუ არა ამ ცვლილებებში კორექტირებების შეტანა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 3-„ა“ განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც ეხება ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას. ამ შენიშვნაში აღნიშნული გარემოებები, პირველ რიგში კი ჯგუფის ვალდებულებების მნიშვნელოვნად აღმატების ფაქტი მისავე მიმდინარე აქტივებზე, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა ჯგუფიმ. თუმცა, ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება. ჯგუფის ფუნქციონირება 2020-2021 წლებში ფაქტობრივად გაგრძელდა. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას;

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების კომპანიები...

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს

აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების კომპანიები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

ჯგუფი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობის შესახებ

ჯგუფის 2019 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრილია ამავე საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო

მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის საფუძველზეც გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41.

18 მაისი, 2021 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 312 283	465 334	279 014	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	612 120	355 801	325 685	6
გადახდილი ავანსები	11 997 211	9 231 871	11 447 578	7
მარაგები	19 548 431	11 087 488	2 317 854	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6 897 649	10 212 284	5 714 801	9
სხვა მიმდინარე აქტივები	211 047	204 455	194 584	
მიმდინარე აქტივები სულ:	40 578 741	31 557 234	20 279 515	
გრძელვადიანი აქტივები :				
ძირითადი საშუალებები	1 791 811	2 058 806	2 262 884	10
საინვესტიციო ქონება	1 990 577	2 041 617	2 093 967	11
არამატერიალური აქტივები	4 262	5 014	5 898	
გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში	8 708 989	6 786 383	2 790 163	12
გრძელვადიანი აქტივები სულ:	12 495 638	10 891 820	7 152 911	
აქტივები სულ:	53 074 379	42 449 054	27 432 426	
მიმდინარე ვალდებულებები:				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3 855 751	5 982 166	234 072	13
მიღებული ავანსები	44 602 129	32 814 746	23 366 590	14
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	87 269	188 122	158 104	15
გადასახდელი გადასახადები	1 530 043	1 314 753	1 627 569	9
გადასახდელი პროცენტები	13 450	13 852	13 669	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	436 009	346 749	234 932	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	50 524 651	40 660 388	25 634 935	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	2 513 835	2 427 770	2 533 406	15
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	50 211	94 756	124 082	
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	2 564 046	2 522 525	2 657 488	
ვალდებულებები სულ:	53 088 697	43 182 914	28 292 423	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	99 360	55 650	-	
გაუნაწილებელი მოგება	(113 677)	(789 510)	(859 997)	
კაპიტალი სულ:	(14 317)	(733 860)	(859 997)	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	53 074 379	42 449 054	27 432 426	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)**

	2019	2018	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	44 177 624	35 060 751	16
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(39 307 174)	(31 341 022)	17
საერთო მოგება	4 870 450	3 719 730	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3 598 155)	(3 332 839)	18
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1 272 295	386 891	
ფინანსური ხარჯები	(276 524)	(275 112)	
მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	(408 519)	(116 457)	
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	88 581	75 166	
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(596 462)	(316 403)	
მოგება დაბეგვრამდე:	675 833	70 487	
მოგების გადასახადის ხარჯი			
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	675 833	70 487	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	675 833	70 487	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018-თვის	-	(859 997)	(859 997)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		70 487	70 487
საწესდებო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	55 650		55 650
ნაშთი 31.12.2018-თვის	55 650	(789 510)	(733 860)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		675 833	675 833
საწესდებო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	43 710		43 710
ნაშთი 31.12.2019-თვის	99 360	(113 677)	(14 317)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)**

	2019	2018	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	56 149 795	44 610 167	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(48 188 474)	(29 735 926)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(9 029 882)	(6 717 688)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(1 430 931)	(1 089 539)	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(7 800)	(9 685)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	6 383 660	(1 537 440)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(410 973)	(41 386)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3 465 395	5 478 504	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(164 178)	(256 301)	
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	(13 500)	-	
ინვესტიცია სხვა საწარმოებში	(1 909 106)	(3 963 220)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 086 784)	(4 219 521)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი კაპიტალის ზრდისაგან	91 000	55 650	
გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	(47 290)	-	
სესხების დაფარვა	(144 714)	(154 389)	19
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(52 535)	(47 372)	
გადახდილი პროცენტები	(246 036)	(867 160)	20
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(399 576)	(1 013 271)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(132 086)	(59 391)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	846 949	186 320	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	465 334	279 014	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1 312 283	465 334	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 18 მაისს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი _____ ალექსანდრე სამარგულიანი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „აქსის კონსტრაქშენი“

**2019 წლის კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება**



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „აქსის კონსტრაქშენი“ დაარსდა 2014 წლის 25 დეკემბერს. რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 405076956, იურიდიულ მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის ქ., #32, ბინა 21.

შპს „აქსის კონსტრაქშენი“-ს პარტნიორია:

ალექსანდრე სამარგულიანი (პ/ნ 01024032511) 1000% წილის მფლობელი პარტნიორი;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების დეველოპმენტი.

„აქსის კონსტრაქშენი“ ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც გახდა თავისი დარგის პიონერი და სხვადასხვა მიმართულების განვითარების ინიციატორი, ქვეყანაში შემოიტანა თანამედროვე არქიტექტურის, მენეჯმენტისა და მომსახურების სრულიად ახალი მიდგომა. მისმა საქმიანობამ აგრეთვე განაპირობა ახალი დარგებისა და ბიზნესების გაჩენის აუცილებლობა, რითაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

„აქსისის“ ასოცირება მუდმივად ხდება ინოვაციასა და პირველობასთან. იგი გახდა დარგის ლოკომოტივი და ბაზარზე სტანდარტის დამწერგავი დეველოპერული კომპანია. სწორედ მან შემოიტანა საქართველოში სიტყვა „დეველოპმენტის“ ცნება, დღეს კი წარმატებით ასრულებს პირველი ტყუპი ცათამბჯენის „აქსის თაუერსის“ მშენებლობას საქართველოში და მისი უნიკალური არქიტექტურით და გამორჩეული ინფრასტრუქტურით თანამედროვე თბილისის ლენდმარკად ყალიბდება.

აქსისის პროექტები გამოირჩევა თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, თანამედროვე არქიტექტურითა და რაც მთავარია ხარისხით, რის გამოც წლებია მომხმარებელი ირჩევს „აქსისს“.

აქსისის გუნდი წლებია ემსახურება საერთო იდეას საერთო ღირებულებებით: ხარისხი, ინოვაცია, განვითარება. ის წლებია ცდილობს შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც ცხოვრების სტილის სრულიად ახალ სტანდარტს და მოთხოვნებს დაწერგავს საქართველოში. კომპანიის მიზანი კი გარემოს განვითარებაა, რომელიც მოიტანს თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი კომპანიების მშობელ ჯგუფს:

- შპს „პალასი ცენტრი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404539781, რეგისტრირებული 15.06.2017წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, რუსუდან მეფისაშვილის ქ., №25, ბ.14. დირექტორი - გიორგი კაპანაძე, პ.ნ. 01024018293, წილობრივი მონაწილეობა - 100%. დაფუძნების დღიდან დღემდე არ ახორციელებს საქმიანობას.

- შპს „აქსის ჰოსფიტალიტი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405355315, რეგისტრირებული 27.09.2019წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, სულხან ცინცაძის ქ., N 32, ბ. 21. დირექტორი - გიორგი სამარგულიანი, პ.ნ. 01018004330, წილობრივი მონაწილეობა - 100%. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო საქმიანობის მენეჯმენტი.

კომპანია ფლობს ინვესტიციებს საქართველოში დაფუძნებული შემდეგ კომპანიებში:

- შპს „აქსის გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 404954117, რეგისტრირებული 06.08.2012წ. იურიდიულ მისამართზე - თბილისი, საბურთალოს ქ., N40, კორპ. 2, ბ. 21. დირექტორი - თეიმურაზ ჭოხონელიძე, პ.ნ. 01007000662, წილობრივი მონაწილეობა - 5%.
- შპს „ეიჩ ეს ი სერვის გრუპი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405232449, რეგისტრირებული 13.10.2017წ. იურიდიულ მისამართზე - ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალი, კორპუსი 17, ბინა 12. დირექტორი - გიორგი ოჩიგავა, პ.ნ. 61001048465. წილობრივი მონაწილეობა - 4%.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2019 წლის ბოლოსათვის, ჯგუფის კაპიტალი შეადგენს -14 ათას ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 40,6 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 12.5 მილიონი ლარი.

2018 წლის ბოლოსათვის, ჯგუფის კაპიტალი შეადგენს -734 ათას ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 31,6 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 42,4 მილიონი ლარი.

ჯგუფის ამონაგებმა 2019 წელს - 44,2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 35,0 მილიონი ლარი.

2019 წლის სახელფასო ფონდმა 11,6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს 8,4 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით ჯგუფს 2019 წელს გადახდილი აქვს -6,4 მილიონი ლარი (ბიუჯეტიდან დაბრუნებული გადასახადი შეადგენდა 7,4 მილიონ ლარს), ხოლო 2018 წელს 1,5 მილიონი ლარი.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის მიმდინარე პროექტებია:

აქსის თაურსის მშენებლობა;

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები:

- აქსისი ჭავჭავაძის 75-ში;
- აქსისი საირმეზე;
- აქსისი აბაშიძის 34-ში;
- აქსის პალასი 1;
- აქსის პალასი 2;
- აქსისი იპოდრომზე (კარტოზიას #2 და კარტოზიას #4);
- წინამძღვრიშვილის 125.

2019 წლის გაყიდვები დადმავალი ტენდენციით გამოიხატა, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვემოთ აღნიშნული რისკ-ფაქტორებით:

ძირითადი რისკები:

ჯგუფის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- იპოთეკურ სესხებზე ახალი საბანკო რეგულაციები
- გამკაცრებული სამშენებლო რეგულაციები

მომავლის გეგმები:

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა ჯგუფის სამომავლო მიზანია შეინარჩუნოს ნოვატორი, საუკეთესო ხარისხის პროდუქტის შემქმნელი ბრენდის პოზიცია და უკვე მუშაობს 3 ახალ მულტიფუნქციურ პროექტზე ქალაქის ცენტრალურ უბნებში და უახლოეს მომავალში გააცნობს საზოგადოებას; ასევე დაგეგმილი აქვს სტუმართმასპინძლობის და ტურიზმის სექტორში რამდენიმე საინტერესო პროექტის დაწყება.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ჯგუფის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობაზე, ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორი - ალექსანდრე სამარგულიანი.

დღეისათვის კომპანიაში დასაქმებულია 431 თანამშრომელი;

ორგანიზაცია აერთიანებს 10 დეპარტამენტს: არქიტექტორულს, საინჟინროს, სამშენებლოს, დიზაინის, პროექტების მართვის, ფინანსების, იურიდიულ, გაყიდვებისა და სერვისის და მარკეტინგის განყოფილებებს.

ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯგუფში შრომის უსაფრთხოების სისტემების დანერგვის პროგრამას ახალი რეგულაციების შესაბამისად. ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი სისტემატურ რეჟიმში ახორციელებს თანამშრომელთა ტრენინგებს, ახდენს ახალი რეგულაციების გაცნობას და ცნობიერების ამაღლებას;

კორპორატიული მართვის სრულყოფისთვის კომპანია ნერგავს საერთაშორისო სტანდარტების, საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

თანამშრომელთა ჩართულობა - საბოლოო პროდუქტის მიღებისას ყველა თანამშრომელი გრძნობს თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი შექმნის პროცესში;

თანასწორობა - ყველა თანამშრომელს აქვს თანაბარი შესაძლებლობა დაიცვას მისი ინტერესი და უფლება, გამოხატოს აზრი და დააფიქსიროს მისი პოზიცია;

ინტერესთა კონფლიქტის მართვა - განიმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „აქსის კონსტრუქციების“ დირექტორის ალექსანდრე სამარგულიანის მიერ 2021 წლის 18 მაისს.

ალექსანდრე სამარგულიანი

